BATTLE PLATE

GAMING TABLE

ARDOR GAMING

შინაარსი

ნაწარმის დანიშნულება 4

უსაფრთხოების ზომები 4

ტექნიკური მახასიათებლები 4

კომპლექტაცია 4

აწყობის ინსტრუქცია 5

ექსპლუატაცია 12

შეცდომების კოდები 14

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები 15

დამატებითი ინფორმაცია 16

გეიმინგ მაგიდა
ARDOR GAMING Battle Plate
ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

ძვირფასო მომხმარებელო!

მადლობთ ნდობისთვის!

ჩვენი გუნდი სრულად იზიარებს თქვენს გატაცებას კომპიუტერული თამაშებით, სწორედ ამიტომ ჩვენ ვდებთ ყველა ძალისხმევას, რათა თქვენი სათამაშო გამოცდილება დაუვიწყარი გახდეს ჩვენი გეიმერული აქსესუარებით. გისურვებთ ახალ გამარჯვებებს და ყველაზე ნათელ შთაბეჭდილებებს!

ნაწარმის დანიშნულება

გეიმინგ მაგიდა განკუთვნილია მასზე კომპიუტერის განთავსებისა და მომხმარებლისთვის კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად.

უსაფრთხოების ზომები

- გამოიყენეთ მაგიდა მხოლოდ მისი პირდაპირი ფუნქციონალური დანიშნულებით.
- აწყობა შეასრულეთ მხოლოდ თანდართული ინსტრუქციის სრული დაცვით.
- არ გადააჭარბოთ მაქსიმალურად დასაშვებ წონას.
- ავეჯის ექსპლუატაციისას აუცილებელია გამოირიცხოს წყლისა და სხვა სითხეების მოხვედრა ავეჯის იმ ელემენტებზე, რომლებიც ეხება იატაკს.
- არ გამოიყენოთ მაგიდა კვების კაბელის, ბუდის ან სხვა დეტალების დაზიანების შემთხვევაში.
- გამოყენებამდე დარწმუნდით, რომ ყველა გამტარი საიმედოდაა შეერთებული.
- სანამ მაგიდას ჩართავთ, დარწმუნდით, რომ მის გარშემო არ არის უცხო საგნები და დაბრკოლებები.
- მაგიდა განკუთვნილია მხოლოდ შენობაში (სახლში, ოფისში ან მსგავს პირობებში) გამოსაყენებლად.
- ნაწარმი არ არის განკუთვნილი ბავშვების და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ზედამხედველობას უწევენ მათი უსაფრთხოებისთვის პასუხისმგებელი სხვა პირები.


ტექნიკური მახასიათებლები

- მოდელი: Battle Plate
- მოდელის გაფართოება: VMG-14001
- სავაჭრო ნიშანი: ARDOR GAMING
- მაქსიმალური დატვირთვა: 80 კგ
- წმინდა წონა: 27,5 კგ
- რეგულირებადი სიმაღლე: 72–118 სმ
- ნაწარმის გაბარიტები (სიგ. × სიღრ. × სიმაღ.): 140 × 70 × 72 სმ
- სამუშაო ზედაპირის სისქე: 18 მმ
- სამუშაო ზედაპირის მასალა: ლდსპ
- ბაზის მასალა: ლითონი
- კვების ადაპტერის პარამეტრები:
  - შესასვლელი: 100–240 ვ ~ 50–60 ჰც; 184–190 ვტ
  - გამოსასვლელი: 29 ვ ≡ 1,8 ა
- გამოყენების სფერო: საყოფაცხოვრებო

კომპლექტაცია

- მაგიდის აწყობის კომპლექტი
- კვების ადაპტერი
- მაუსის ხალიჩა
- ექსპლუატაციის სახელმძღვანელო

აწყობის ინსტრუქცია






მაუსის ხალიჩა (×1)



სამუშაო ზედაპირი (×1)



მამოძრავებელი ღერო (×1)



საყრდენი ფირფიტა (×2)



მაგიდის მარცხენა ფეხი (×1)



განივი ძელი (×1)



ჭიქის სადგამი (×1)



კაბელების ორგანაიზერი (×1)



მაგიდის ფეხის ბაზა (×2)



მართვის პანელი (×1)



მაგიდის მარჯვენა ფეხი (×1)



კვების ადაპტერი (×1)

A



ხრახნები M6 × 11 მმ (×4)

B



ხრახნები M5 × 12 მმ (×19)

C



ხრახნები M8 × 15 მმ (×4)

D



ხრახნები M6 × 35 მმ (×8)

E



ექვსწახნაგა გასაღები
S = 2 მმ (×1)

F



ექვსწახნაგა გასაღები
S = 5 მმ (×1)

G



საკაბელო კლიპსი (×2)

H



ყურსასმენის
კაუჭი (×1)

I



ლითონის ფირფიტა (×1)

J



ჯვრის ხრახნსაცერი (×1)

სათადარიგო ნაწილები



A
M6 × 11 მმ (×1)



B
M5 × 12 მმ (×2)




C
M8 × 15 მმ (×1)




D
M6 × 35 მმ (×1)


ნაბიჯი 1




ნაბიჯი 2



ნაბიჯი 3





C	M8 × 15 მმ (×4)
F	S = 5 მმ



ნაბიჯი 4

E	S = 2 მმ





დაასუსტეთ ფიქსატორი.

ჩადეთ მამოძრავებელი ღერო ექვსწახნაგა ხვრელში და მოაბრუნეთ იგი საათის ისრის მიმართულებით, სანამ მაგიდის მარყუჟნა ფეხი არ ჩამოვა ყველაზე დაბალ მდგომარეობაში.


ჩადეთ მამოძრავებელი ღეროს მეორე ბოლო მარყუჟნა ფეხის ხვრელში. საჭიროების შემთხვევაში ოდნავ შეაბრუნეთ ღერო დაყენების გასაადვილებლად.

დაამაგრეთ მამოძრავებელი ღერო, მოქაჩეთ ნინასწარ ჩაკრული ხრახნი ექვსწახნაგა გასაღების საშუალებით.

მოქაჩეთ ფიქსატორი.


ნაბიჯი 5

B	M5 x 12 მმ (×10)
J	ჯვრის ხრახნსაცერი




ნაბიჯი 6


B	M5 x 12 მმ (×5)
J	ჯვრის ხრახნსაცერი




ნაბიჯი 7



ნაბიჯი 8




ნაბიჯი 9



ექსპლუატაცია

მართვის პანელი



1. დისპლეი
2. ფუნქციური ღილაკი
3. ტაიმერის ღილაკი
4. მეხსიერების ღილაკები
5. ღილაკი „ზემოთ"
6. ღილაკი „ქვემოთ"

დისპლეი

- დისპლეზე ნაჩვენებია მაგიდის მიმდინარე სიმაღლე.
- დისპლეი ქრება უმოქმედობის 30 წამის შემდეგ (ძილის რეჟიმი). დისპლეის ძილის რეჟიმიდან გამოსაყვანად დააჭირეთ ნებისმიერ ღილაკს.

მაგიდის სიმაღლის რეგულირება

- მაგიდის ასაწევად დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკი „ზემოთ". მაგიდის მაქსიმალური სიმაღლეა 118 სმ.
- მაგიდის დასაწევად დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკი „ქვემოთ". მაგიდის მინიმალური სიმაღლეა 72 სმ.

მეხსიერების ღილაკები

დააჭირეთ მეხსიერების ერთ-ერთ ღილაკს მაგიდის სიმაღლის დასარეგულირებლად ამ ღილაკისთვის მითითებული მნიშვნელობის მიხედვით. თითოეული ღილაკისთვის დაყენებულია სიმაღლის ნაგულისხმევი მნიშვნელობა („1" — უმცირესი, „3" — უდიდესი).

ამ ღილაკებისთვის სიმაღლის მნიშვნელობის შესაცვლელად შეასრულეთ შემდეგი მოქმედებები:

1. დააყენეთ მაგიდა სასურველ სიმაღლეზე ღილაკების „ზემოთ" ან „ქვემოთ" საშუალებით.
2. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს — დისპლეი დაიწყებს ციმციმს.
3. დააჭირეთ და გეჭიროთ მეხსიერების ღილაკი „1", „2" ან „3", სანამ დისპლეზე არ გამოჩნდება შესაბამისად „H1", „H2" ან „H3".
4. დაყენების შემდეგ, ღილაკზე „1", „2" ან „3" დაჭერისას მაგიდის სიმაღლე ავტომატურად დარეგულირდება შენახულ მნიშვნელობამდე.

ტაიმერი

1. დააჭირეთ მართვის პანელზე ტაიმერის ღილაკს — დისპლეზე გამოჩნდება ტაიმერის ჩართვის დრო.
2. საჭიროების შემთხვევაში დააყენეთ დრო დიაპაზონში 0-დან 4 საათამდე: ღილაკ „ზემოთ"-ზე ყოველი დაჭერა მატებს 30 წუთს, ხოლო „ქვემოთ"-ზე — აკლებს.
3. სასურველი დროის არჩევის შემდეგ დაელოდეთ 2 წამს. არჩეული მნიშვნელობა შეინახება, დისპლეზე დაიწყებს ციმციმს წერტილი, რაც ნიშნავს, რომ ათვლა დაწყებულია.
4. დანიშნული დროის ამოწურვის შემდეგ გაისმება ხუთჯერადი ხმოვანი სიგნალი და დისპლეი აინთება.

საზომი ერთეულების სისტემის შეცვლა

1. დააჭირეთ და გეჭიროთ ფუნქციური ღილაკი, სანამ დისპლეზე არ აინთება და დაიწყებს ციმციმს „S–".
2. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს ხელახლა — დისპლეზე გამოჩნდება „Un".
3. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს არჩევანის დასადასტურებლად.
4. ღილაკებით „ზემოთ" ან „ქვემოთ" აირჩიეთ საჭირო მნიშვნელობა:
   - „SI" — საზომ ერთეულთა მეტრული სისტემა. მაგიდის სიმაღლე გამოისახება სანტიმეტრებში.
   - „In" — დიუიმური სისტემა. მაგიდის სიმაღლე გამოისახება დიუიმებში.
5. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს არჩევანის დასადასტურებლად და პარამეტრების შესანახად.

დაბრკოლებების აღმოჩენა

1. დააჭირეთ და გეჭიროთ ფუნქციური ღილაკი, სანამ დისპლეზე არ აინთება და დაიწყებს ციმციმს „S–".
2. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს ხელახლა — დისპლეზე გამოჩნდება „Un".
3. ღილაკებით „ზემოთ" ან „ქვემოთ" აირჩიეთ „CF".
4. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს არჩევანის დასადასტურებლად.
5. ღილაკებით „ზემოთ" ან „ქვემოთ" დაარეგულირეთ დაბრკოლებების აღმოჩენის სისტემის მგრძნობელობა: «OFF» (გამორთ.), «Low (L)» (დაბალი), «Normal (n)» (საშუალო) ან «Heavy (H)» (მაღალი).
6. დააჭირეთ ფუნქციურ ღილაკს არჩევანის დასადასტურებლად და პარამეტრების შესანახად.

მართვის პანელის დაბლოკვა

- პანელის შემთხვევითი დაჭერისგან დასაბლოკად დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკები „ზემოთ" და „ქვემოთ" 5 წამის განმავლობაში, დისპლეზე გამოჩნდება „LOC". დაბლოკვის გააქტიურების შემდეგ სიმაღლის რეგულირება მიუწვდომელი გახდება.
- დაბლოკვის მოსახსნელად დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკები „ზემოთ" და „ქვემოთ" 5 წამის განმავლობაში, მაგიდის მიმდინარე სიმაღლის ნაცვლად დისპლეზე გამოჩნდება „LOC".

პარამეტრების საწყისი მდგომარეობის აღდგენა

1. დააჭირეთ და გეჭიროთ ღილაკი „ქვემოთ" 5 წამის განმავლობაში — დისპლეზე გამოჩნდება „RES".
2. ღილაკის გაშვების გარეშე დაელოდეთ, სანამ მაგიდა სრულად ჩამოვა, შემდეგ კი ავტომატურად ავა ნაგულისხმევ სიმაღლემდე (72 სმ).

შეცდომების კოდები

შეცდომის კოდი	მიზეზი	გადაწყვეტა
Hot	ჩართულია გადახურებისგან დაცვა. ელექტროამძრავი გამორთულია დაზიანების თავიდან ასაცილებლად.	საჭიროა დაელოდოთ 15–18 წუთი, სანამ ხელახლა დაარეგულირებთ სიმაღლეს.
E10	სენსორის შეცდომა. არ არის ელექტროამძრავის უსაფრთხოების სენსორის სიგნალი.	გამორთეთ მაგიდა ქსელიდან და გამოაერთეთ კაბელები მართვის პანელიდან. შემდეგ ხელახლა შეაერთეთ კაბელები, ჩართეთ ბუდეში და შეასრულეთ პარამეტრების საწყისი მდგომარეობის აღდგენა.
E20	გადატვირთვა. გადაჭარბებულია მაგიდაზე დასაშვები მაქსიმალური დატვირთვა.	გამორთეთ მაგიდა ქსელიდან და მოაშორეთ საგნები მისი ზედაპირიდან. შემდეგ ხელახლა ჩართეთ კვება.
E02	მაგიდა ჩერდება ვიბრაციის, დარტყმის ან დახრის აღმოჩენისას.	აღმოფხვრეთ დაცვის ჩართვის შესაძლო მიზეზები. შემდეგ შეასრულეთ პარამეტრების აღდგენა შემდგომი ექსპლუატაციის წინ.
E32	ჩართულია გადაძაბვისგან დაცვა. ზედმეტად მაღალია ქსელის შესასვლელი ძაბვა.	დარწმუნდით, რომ გამოიყენება ორიგინალური კვების ადაპტერი, და გამოაერთეთ კაბელები მართვის პანელიდან. შემდეგ ხელახლა შეაერთეთ კაბელები, ჩართეთ ბუდეში და შეასრულეთ პარამეტრების აღდგენა.
E31	ჩართულია დაბალი ძაბვისგან დაცვა. ზედმეტად დაბალია ქსელის შესასვლელი ძაბვა.	დარწმუნდით, რომ გამოიყენება ორიგინალური კვების ადაპტერი, და გამოაერთეთ კაბელები მართვის პანელიდან. შემდეგ ხელახლა შეაერთეთ კაბელები, ჩართეთ ბუდეში და შეასრულეთ პარამეტრების აღდგენა.

მონტაჟის, შენახვის, გადაზიდვის (ტრანსპორტირების), რეალიზაციისა და უტილიზაციის წესები და პირობები

- ნაწარმის მონტაჟის წესები და პირობები აღწერილია წინამდებარე ექსპლუატაციის სახელმძღვანელოს განყოფილებაში „აწყობის ინსტრუქცია".
- ნაწარმის შენახვა უნდა ხდებოდეს შეფუთვაში, გათბობად შენობებში დამამზადებელთან და მომხმარებელთან, ჰაერის ტემპერატურის 5 °C-დან 40 °C-მდე და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის არაუმეტეს 80%-ის პირობებში. შენობებში არ უნდა იყოს კოროზიის გამომწვევი აგრესიული მინარევები (მჟავების, ტუტეების ორთქლი).
- ნაწარმის გადაზიდვა უნდა ხორციელდებოდეს მშრალ გარემოში.
- ნაწარმი საჭიროებს ფრთხილ მოპყრობას, დაიცავით იგი მტვრის, ჭუჭყის, დარტყმების, ტენიანობის, ცეცხლისა და სხვა ამგვარი ზემოქმედებისგან.
- ნაწარმის რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ნაწარმის სამსახურის ვადის ამოწურვის შემდეგ მისი გადაგდება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად დაუშვებელია. ამის ნაცვლად იგი ექვემდებარება ჩაბარებას შესაბამის ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მიმღებ პუნქტში, შემდგომი გადამუშავებისა და უტილიზაციისთვის, ცენტრალური ან ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. პროდუქტის სწორი უტილიზაციის უზრუნველყოფით თქვენ უწყობთ ხელს ბუნებრივი რესურსების დაზოგვას და გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზიანის თავიდან აცილებას, რომელიც შესაძლებელია არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში. დამატებითი ინფორმაცია ამ პროდუქტის მიღებისა და უტილიზაციის პუნქტების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოებისგან ან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საწარმოსგან.
- ნაწარმის გაუმართაობის აღმოჩენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს ან გაატარეთ ნაწარმის უტილიზაცია.

დამატებითი ინფორმაცია

დამამზადებელი: ციდუნ ვიჟენ მაუნტს მენიუფექჩურინგ კო., ლტდ.
№669, ხუაშის გზატკეცილი, ხუილონი, ქ. ციდუნ, პროვინცია ძიანსუ, ჩინეთი.

Manufacturer: Qidong VISION MOUNTS Manufacturing Co.,Ltd.
No. 669, Huashi Road, Huilong Town, Qidong City, Jiangsu Province, China.

დამზადებულია ჩინეთში.

იმპორტიორი საქართველოში: შპს არგო ელექტრონიქს, ს/კ 405791674.
საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 47, სადარბაზო 1, 1-2 სართული.
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@dns-shop.ge

საქონელი შეესაბამება საბაჟო კავშირის TP TC 025/2012 „ავეჯის პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.
შესაბამისობის დეკლარაციის ნომერი: ЕАЭС N RU Д-CN.PA01.B.81560/26.
მოქმედების ვადა: 13.02.2026–25.07.2029.

სპეციფიკაციები, ინფორმაცია პროდუქტის შესახებ და მისი გარეგანი სახე შეიძლება შეიცვალოს მომხმარებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე, ჩვენი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

დამზადების თარიღის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შეფუთვაზე.

v.2

საგარანტიო ტალონი

SN/IMEI:

გარანტიაზე დაყენების თარიღი:

დამამზადებელი უზრუნველყოფს ნაწარმის უწყვეტ მუშაობას მთელი საგარანტიო ვადის განმავლობაში, ასევე მასალებსა და აწყობაში დეფექტების არარსებობას. საგარანტიო ვადა აითვლება ნაწარმის შეძენის მომენტიდან და ვრცელდება მხოლოდ ახალ პროდუქტებზე. საგარანტიო მომსახურება მოიცავს იმ ელემენტების უფასო შეკეთებას ან შეცვლას, რომლებიც მწყობრიდან გამოვიდა არა მომხმარებლის ბრალით საგარანტიო ვადის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ნაწარმის ექსპლუატაცია ხდებოდა მომხმარებლის სახელმძღვანელოს შესაბამისად. ელემენტების შეკეთება ან შეცვლა ხორციელდება უფლებამოსილი სერვის ცენტრების ტერიტორიაზე.

საგარანტიო ვადა: 60 თვე.

ექსპლუატაციის ვადა: 60 თვე.

საგარანტიო ვალდებულებები და უფასო სერვისული მომსახურება არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილ საკუთნოებზე, რომლებიც შედის საქონლის კომპლექტში, თუ მათი შეცვლა არ არის დაკავშირებული ნაწარმის დაშლასთან:

- კვების ელემენტები (ბატარეები) დისტანციური მართვის პულტისთვის (ПДУ).
- დამაკავშირებელი კაბელები, ანტენები და გადამყვანები მათთვის, ყურსასმენები, მიკროფონები, „HANDS-FREE" მოწყობილობები; სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლები, პროგრამული უზრუნველყოფა (პუ) და დრაივერები, კომპლექტში მიწოდებული (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ნაწარმის მყარ დისკზე წინასწარ დაყენებული პუ-ის ჩათვლით), გარე შეყვანა-გამოყვანის მოწყობილობები და მანიპულატორები.
- ჩანთები, სახელურები, თასმები, გადასატანი კაბელები, სამონტაჟო საშუალებები, ხელსაწყოები, ნაწარმთან თანდართული დოკუმენტაცია.
- სახარჯი მასალები და ბუნებრივი ცვეთის ქვეშ მყოფი დეტალები.

დამამზადებელი არ იღებს საგარანტიო ვალდებულებებს შემდეგ შემთხვევებში:

- ამოწურულია საგარანტიო ვადა.
- თუ ნაწარმი, რომელიც განკუთვნილია პირადი (საყოფაცხოვრებო, საოჯახო) საჭიროებისთვის, გამოყენებულ იქნა სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე სხვა მიზნებისთვის, რომლებიც არ შეესაბამება მის პირდაპირ დანიშნულებას.
- დამამზადებელი არ არის პასუხისმგებელი ნაწარმის მფლობელის და/ან მესამე პირების მიერ განცდილ შესაძლო მატერიალურ, მორალურ და სხვა ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის სახელმძღვანელოს მოთხოვნების დარღვევით გამოყენებისას, დამონტაჟებისა და მომსახურების რეკომენდაციების, შეერთების წესების დაუცველობით (მოკლე შერთვები, მათ შორის შეუსაბამო ქსელური ძაბვის ზემოქმედების შედეგად, როგორც თავად ნაწარმზე, ასევე მასთან დაკავშირებულ ნაწარმზე), ნაწარმის შენახვისა და ტრანსპორტირების წესების დარღვევით.
- ყველა შემთხვევა მექანიკური დაზიანებისა: ნაპრალები, ბზარები, დეფორმაციები, დარტყმების კვალი, ჩაზნექილობები და სხვა, მიღებული ნაწარმის ექსპლუატაციის პროცესში.
- შეინიშნება გარეშე მოდიფიკაციის, არასანქცირებული შეკეთების კვალი პირების მიერ, რომლებიც არ არიან უფლებამოსილნი ასეთი სამუშაოების ჩასატარებლად. თუ დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის კონსტრუქციის ან სქემის ცვლილებით, დამამზადებლის მიერ გაუთვალისწინებელი გარე მოწყობილობების მიერთებით, კანონმდებლობის შესაბამისი შესაბამისობის სერტიფიკატის არმქონე მოწყობილობის გამოყენებით.
- თუ ნაწარმის დეფექტი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით (მიწისძვრები, საყოფაცხოვრებო ფაქტორები და სხვა სიტუაციები, რომლებიც არ არის დამოკიდებული დამამზადებელზე), ან მესამე პირთა ისეთი მოქმედებებით, რომელთა განჭვრეტაც დამამზადებელს არ შეეძლო.
- დეფექტი გამოწვეულია ნაწარმის შიგნით უცხო საგნების, სხეულების, ნივთიერებების, სითხეების, მწერების ან ცხოველების მოხვედრით, აგრესიული გარემოს, მაღალი ტენიანობის, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, რამაც გამოიწვია ნაწარმის სრული ან ნაწილობრივი მწყობრიდან გამოსვლა.
- არ არსებობს ან არ შეესაბამება ნაწარმის იდენტიფიკაცია (სერიული ნომერი). თუ დაზიანებები (ნაკლოვანებები) გამოწვეულია მავნე პროგრამული უზრუნველყოფის ზემოქმედებით; პაროლების (კოდების) დაყენებით, შეცვლით ან წაშლით, რამაც გამოიწვია ნაწარმის პროგრამულ რესურსებზე წვდომის არქონა, მათი აღდგენის შესაძლებლობის გარეშე, პროგრამის მომწოდებლის მიერ ამ სერვისის მიუწოდებლობის გამო.
- თუ მუშაობის დეფექტები გამოწვეულია კვების, საკაბელო, სატელეკომუნიკაციო ქსელების, რადიოსიგნალის სიმძლავრის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შეუსაბამობით, მათ შორის რელიეფის თავისებურებებისა და სხვა მსგავსი გარე ფაქტორების გამო, ნაწარმის საზღვარზე ან ქსელის მოქმედების ზონის გარეთ გამოყენებით.
- თუ დაზიანებები გამოწვეულია არასტანდარტული (არაორიგინალური) და/ან არაკეთილხარისხოვანი (დაზიანებული) სახარჯი მასალების, საკუთნოების, სათადარიგო ნაწილების, კვების ელემენტების, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის მატარებლების გამოყენებით (მათ შორის CD, DVD დისკები, მეხსიერების ბარათები, SIM-ბარათები, კარტრიჯები).
- თუ ნაკლოვანებები გამოწვეულია შეუთავსებელი კონტენტის მიღებით, დაყენებით და გამოყენებით (მელოდიები, გრაფიკა, ვიდეო და სხვა ფაილები, Java აპლიკაციები და მსგავსი პროგრამები).
- ზიანზე, მიყენებულ სხვა მოწყობილობისთვის, რომელიც მუშაობს ამ ნაწარმთან შეთანხმებით.

გაიგე მეტი:

ARDOR-GAMING.COM
VK.COM/ARDOR_GAMING